

## საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში  
დამატებების შეტანის თაობაზე

### მუხლი 1

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, 13-14, 8.04.1998, გვ. 31) 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>2</sup> და 3<sup>3</sup> ნაწილები:

„3<sup>2</sup>. ამ მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

3<sup>3</sup>. ამ მუხლის 3<sup>2</sup> ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს განრიდების ან მედიაციის შესახებ მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.“.

### მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*